ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №18

25 სექტემბერი, 2018 თბილისი,თავისუფლების მოედანი N2

13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
6. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031826483-03; 21.09.2018).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის შესაბამისად.

მომხსენებელი:

- **მერაბ მამულაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში.

მ.მამულშვილი - წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს. დადგენილებაში ცვლილება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ 2015 წლის ივნისში, დედაქალაქში მომხდარი სტიქიის შედეგად ჩამოიშალა წყნეთი-ბეთანიის გზის მონაკვეთი, რის გამოც შეწყდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლა წყნეთიდან ბეთანიის და კიკეთის მიმართულებით. ვინაიდან უკვე აღდგენილია წყნეთი-ბეთანიის გზის მონაკვეთი და შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლა, მგზავრთა გადაადგილების მიზნით მოხდება ავტობუსის (M3 კატეგორია) მარშრუტის დანიშვნა.

გზის ჩამოშლამდე, წყნეთიდან კიკეთის მიმართულებით მოძრაობდა №5 ავტობუსი. გამომდინარე იქიდან, რომ №5 მარშრუტს ამჟამად სხვა საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს და სატრანსპორტო მომსახურებას უწევს წყნეთში თამარ მეფის და მაია წყნეთელის ქუჩებს მ/ს „დელისამდე“, ახალ მარშრუტს მიენიჭა № 81.

ავტობუსი იმოძრავებს შემდეგი მარშრუტით:

- დაბა კიკეთი (9 ძმა ხერხეულიძის ქ. №17-19-ის პირდაპირ) - დაბა კიკეთი (9 ძმა ხერხეულიძის ქ. - ექვთიმე თაყაიშვილის ქ.) - წყნეთი - სამადლოს გზა (სოფ. დიდებაში ჩასვლა-ამოსვლით) - დაბა წყნეთი (რუსთაველის ქ. - რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ).
- მარშრუტის უკუ მიმართულება განსაზღვრულია იგივე სქემით.

დ.უჯმაჯურიძე - წყნეთში ნამდვილად არის ახალი მარშრუტის დანიშვნის საჭიროება.

თ.ისაკაძე - მომავალ წელს გამოგვინთავისუფლდება ავტობუსების გარკვეული რაოდენობა და გვექნება საშუალება კიდევ დავამატოთ ავტობუსები ზოგიერთ მარშრუტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემუშავებული დასკვნა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე თედო ისაკაძე